

დაკითხვის ტაქტიკა და ფსიქოლოგიური თავისებურებები

პროექტის აღწერა

ნაშრომის მიზანია ახალი, მეცნიერულ საფუძვლებზე დაფუძნებული ტექნოლოგიური სექციების ჩამოყალიბება, რაც დაკითხვის ეფექტურად წარმართვის საშუალებას მოგვცემს – იგულისხმება ჩვენების შეცვლა, ფაქტებისა და მოვლენების არასწორად გადმოცემის ტენდენციურობისა და გამოძიების არასწორი მიმართულებით წარმართვის მცდელობის გამაშვარავება, მეტიც, მოვლენათა რეალური დინამიკის აღდგენა, თუნდაც „კონკრეტული ინტერვიუს“ მეშვეობით.

ეს ძირითადი დებულება მდგომარეობს იმაში, რომ როდესაც მოწმე ცვლის ან მცდარად აღწერს სინამდვილეს, შესაძლებელია მივაგნოთ ამ ცვლილებების და უზუსტობების წარმოშობას, რაც გულისხმობს იმას, რომ მრავალ შემთხვევაში შესაძლებელია ადვადგინოთ მოვლენათა რეალური მიმდინარეობა, თუნდაც „კონკრეტული ინტერვიუს მეშვეობით“, ანუ ეტაპობრივი გახსენების შედეგად. სწორედ ამის გამო ჩვენება დებულებას გარკვეულ ფორმასა და შინაარსს.

წიგნში დაკითხვის ტაქტიკა ორი ასპექტით არის განხილული – კრიმინალისტური (მსოფლიო პრაქტიკაში დანერგილი გარკვეული ცვლილებებით) და ფსიქოლოგიური.

ნაშრომი შედგება IX თავისაგან. მათ შორის:

I თავში (შესავალი) გადმოცემულია დაკითხვის არის და საერთო თავისებურებები, აგრეთვე, პროცესის მწარმოებელი თანამდებობის პირებისა და ოპერატიულ – სამძებრო სამსახურების თანამშრომლების ინდივიდუალური წარმოდგენები დაკითხვაზე; ჩამოყალიბებულია დაკითხვის მიზანი, ურთიერთობა ინფორმაციის წყაროსთან, დაკითხვის პროცესის წარმართვის ხერხები, ჯვარედინ და ჩვეულებრივ დაკითხვას შორის განმასხვავებელი ნიშნები. აქვე განხილულია დაკითხვა, როგორც შესწავლის ობიექტი – კომუნიკაციის ერთ – ერთი ფორმა, მისი სწორად ორგანიზაციისა და ჩატარების საშუალებები და საერთო წესები.

II თავი ეხება დაკითხვას უკონფლიქტო სიტუაციებში, დაკითხვის გეგმის შედგენას, დაკითხვის დროის შერჩევას, კითხვების მომზადებას, ურთიერთობას დასაკითხ პირთან, სწორი კითხვების დასმას, ჩვენების შინაარსის (მოწოდებული ინფორმაციის) სწორად აღქმასა და გაანალიზებას, ფიქსაციას, მონაყოლის დამახინჯებასა და მისი თავიდან აცილების ხერხებს, თავისუფალი თხრობისა და მოსმენის ტექნიკას, დესტრუქციის აცილებას, არავერბალური (ადამიანის ქცევით, მიმიკით, კესტიკულაციით, მოწოდებული) ინფორმაციის ჩაწვდომის ხელოვნებას, ჩვენების უტყუარობისა და სიზუსტის გადამოწმებას და სხვა.

III თავში გადმოცემულია ფსიქოლოგიური დაკვირვებები – ნეირო – ლინგვისტური პროგრამირება, ხელოვნურობა, შემეცნებითი დაკითხვა (კონკრეტული ინტერვიუ), მოვლენის კონტექსტის აღდგენა, მიმდევრობის და პერსპექტივის შეცვლა, სპეციფიკური გახსენება, დროის ფაქტორი, აგრეთვე არაკონფლიქტურ სიტუაციებში დაკითხვის სტრუქტურა, რაც ხელს უწყობს დამკითხავთა ფსიქოლოგიურ მომზადებას მოქმედების მაღალეფექტურად ჩასატარებლად.

IV თავში გადმოცემულია ცრუ ჩვენების მიცემისას ტყუილის აღმოჩენის დამახასიათებელი ნიშნები, ფსიქოლოგიური პროცედურები, განხილულია არავერბალური კომუნიკაცია და მისი წარმოშობის საფუძვლები, არავერბალური ქცევა, სხეულის მოძრაობა, სახის გამომეტყველება, ფსიქოლოგიური სიმპტომები, გადახრები მეტყველებაში და ა.შ.

V თავი ეხება ჩვენების ანალიზს, მის კომპონენტებს – მეტყველების ნაწილებს, შინაგან ინფორმაციას, სარწმუნოების ნაკლებობასა და ჩვენების ბალანსს, რაც გამომიძიებელს დაეხმარება მოწოდებული ინფორმაციის სწორად აღქმასა და მისი უტყუარობის შეფასებაში.

VI თავში გადმოცემით კონფლიქტურ სიტუაციებში დაკითხვის არსსა და ელემენტებს, რეკომენდაციებს დასაკითხისგან სრული ინფორმაციის მისაღებად, დაკითხვის მომზადების ადგილისა და გარემოს შერჩევას, საქმის მასალების ცოდნასა და დასაკითხი პიროვნების შესწავლას, დაკითხვის გეგმის სწორედ შედგენას, განსხვავებას დაკითხვასა და გამოკითხვას შორის.

VII თავში გაანალიზებულია აღიარება და მისი მიზეზები, აღიარების მიღებისათვის საჭირო ფსიქოლოგიური ფაქტორები, ეჭვიმტანილთა ქცევის რაციონალიზაციას, მასთან მიდგომის ფორმები.

VIII თავში ყურადღებას ვამახვილებთ აღიარების გაკეთების ნებაყოფლობითობასა და თავისუფლებაზე, გამომიძიებლის დაპირების გავლენაზე ამ ასპექტში, მუქარის დაუშვებლობაზე.

IX თავში გაანალიზებულია აშშ კონსტიტუციაში შესწორებები „მინიკის“ გადაწყვეტილებასა და „მირანდას“ გაფრთხილებასთან დაკავშირებით.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული სახელმძღვანელო ასევე გამოდგება ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი საპატრულო პოლიციისათვისაც, ვინაიდან მასში გამოყენებულია სკოტლანდ იარდის ინსპექტორების, გამომიძიებლის ფედერალური აგენტებისა და სხვადასხვა ქვეყნების საპოლიციო სტრუქტურების თანამშრომელთა გამოცდილებები დაკითხვისა და გამოკითხვის დროს.